ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6010437

ნომერი: AR1908252

თარიღი : 27.06.2022

გაცემის თარიღი : 07.07.2022

გაცნობის თარიღი : 07.07.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტეხის ქუჩა N22.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინ ქაწაშვილი პ/ნ 01031007076
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 31 ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), მეტეხის ქ. №22-ში, შ.პ.ს. „მეტეხი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების შეცვლას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. „მეტეხი“-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882021781101, 20.09.2021 წ. საკადასტრო კოდი № 01.17.01.092.002; მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგიტრაციის N210321260, 06.04.2021; ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), მეტეხის ქ. №22-ში, შ.პ.ს. „მეტეხი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების შეცვლის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.